

ქართული ენობის საქართველო

IX წ. საყოველთაო მკვირამ გახეთი. IX წ.

№ 32. კვირა, 5 აგვისტო 1901 წელსა. № 32.


გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი - სამი შაური.
სკლის მოწერა მიიღება: თფილისში - «წერა. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, თეატრის ქ., № 12.
ტელეფონი № 734.
ფოსტის ადრესი: Тифлисть, редакция „КВАЛИ“.

შინაარსი: რუსული პოეზიის უმთავრესი მომენტები მე-XIX საუკუნეში, ი. გომარტელისა. - სხვა-და-სხვა ამბები. - ფრანკისკო კრისპი. - შინაური მიმოხილვა. - კორესპონდენციები. - რუსეთის ცხოვრება. - საზღვარგარეთ. - შრომის მდგომარეობა ინგლისში. - ლეჩხუმის რამე რუმე, ს. მამალაძისა. - პატარა ყარაბაღიანი, ი. ევლოშვილისა. - ქიმიის პიშვნელობა. - წერილები რედაქციის მიმართ. - განცხადებანი.

რუსული პოეზიის უმთავრესი მომენტები მე-XIX საუკუნეში.

(შემდეგი. - იხ. № 31).

მეორმოცე წლების ბელეტრისტა შორის იყვნ ისეთი პირნიც, რომლებიც ერთის მხრით ბუნებრივი ნიჭითა და მეორე მხრით ფილოსოფიური განათლებითა და პოლიტიკური რწმენა-შეხედულებით დაბალ საფეხურზე იდგნ, მაგრამ თავის დროს მათაც ჰქონდათ გავლენა. მათაც სარგებლობა მოუტანეს რუსეთის საზოგადოების სულიერათ ამაღლებას. ასეთი მწერლები იყვნენ პისემსკი, პლეშჩევი და ნიკიტინი. როგორის თვალთ უყურებდა პისემსკი (1819—1881) ბატონყმურ წყობილებას, ძნელი სათქმელია. რაც უნდა იყოს, ამის შესახებ არავითარ გადაჭრილ პასუხს არ იძლევა მისი ნაწერები. მეორმოცე წლების ბელეტრისტებთან ამ მწერალს ერთი რამა აქვს საერთო — ცხოვრების სინამდვილის ხატვა და პესიმიზმი. მაგრამ მაშინ, როდესაც ტურგენევი, გონჩაროვი, შევჩენკო ცხოვრების სინამდვილეში ეძებდნ უმთავრესათ ბატონყმურ



გრაფი ლევ ნიკოლოზის ძე ტალსტოვი.

რი წყობილების გამხრწნელ გავლენას, პისემსკი ეძებდა მხოლოთ ცხოვრების სისაძაგლეს, ადამიანის ბუნების უზნეო, მხეცურ ელემენტებს. ისეთი მწერალი, როგორც გოგოლი, დიკენსი, ცხოვრების სისაძაგლეს ხატავენ, მაგრამ იმ მიზნით, რომ მკითხველს თვალი აუხილონ და ცხოვრების გაუმჯობესების სურვილი აღუძრან. პისემსკი კი ამ გვარ მიზანს სრულებით მოკლებული იყო: ის ეძებდა ცხოვრებაში ყოველგვარ სისაძაგლეს მხოლოთ სისაძაგლისათვის, თუ შეიძლება ასე ითქვას. ადამიანის ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ ის უკიდურესი პესიმიტი იყო. მისი რწმენით მხეცური გრძობების გარდა ადამიანს სხვა არაფერი ამოქმედებს. პისემსკის პესიმიზმი ნიკიტინის პოეზიაში (1824—1861) უიმედო, უნუგეშო და მელანხოლიურ ლირიზმით გადიქცა. ეს პოეტი ისეთ წრეში აღიზარდა, სადაც უმეცრების, უზნეობის, სხვისი პიროვნების შელახვისა და სხვისი ჩაგვრის მეტს ვერას ხედავდა; ამან ღრმა კვალი დააჩნია მის პოეზიას, რომელიც უნუგეშო ქირისუფალია ყოველი ტანჯულის და უბედურის. ნიკიტინის მსოფლიო შეხე-

დღეების ჰორიზონტი ვიწრო იყო, მისი ნიჭი ფართო სინტეზს მოკლებული, და იმ წრემ, რომელშიაც ის ტრიალებდა, სრულებით დაიმორჩილა ის, როგორც პოეტი. სულ სხვა იყო პლეშჩევის პოეზია (1825—1893). პლეშჩევი კარგათ ამჩნევდა ცხოვრების ცუდ მხარეებს, მაგრამ მას ამხნევებდა უკეთესი მომავლის იმედი. მას ღრმად წამდა, რომ შეიძლებოდა ცხოვრებიდან უსამართლობის განდევნა, ბოროტებისა და სისაძაგლის მოსპობა, მხოლოდ ამისათვის საჭირო იყო ბრძოლა და პლეშჩევიც გამოვიდა მებრძოლათ. გამოსვლისათნავე მან გაბედულათ და უშიშრათ გამოაცხადა: ცხოვრებაში სიყალბისა და ბოროტების მოსასპობათ საჭიროა ბრძოლა და უნდა ვებრძოლოთ, ამ გვარ დროს უმოძრაობა ჩვენი დამღუპველიაო. ასე ქადაგებდა პლეშჩევი 49 წლამდე. ამ წელს ის დაიჭირეს და მთელი ათი წელიწადი თავისუფლებას მოკლებული იყო. ერთის მხრით ამ გარემოებამ, მეორეს მხრით წლოვანებამ პლეშჩევის ახალგაზღურ გამბედაობას და აღფრთოვანებას ფრთები შეაკვეცეს. მან სრულებით დაჰკარგა რწმენა უკეთესი მომავლისა.

ამგვარათ მეორმოცე წლების ყველა იმ პოეტებმა და ბელეტრისტებმა, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ, თავისი ხელოვნების საგნათ თანამედროვე ცხოვრებისა და თავისი საკუთარი გრძობათა ანალიზი გაიხადეს. ამგვარმა ანალიზმა მათ გადმოუშალა საზოგადოებრივი ცხოვრების სრული არარაობა და იმედით აღფრთოვანებულებიც კი უნუგეშო პესიმისტებათ გადააქცია. სრულებით სხვა სურათს წარმოადგენენ დოსტოვესკი (1821—1881) და ლ. ტოლსტოი (დაიბადა 1828 წ.). როგორც მეორმოცე წლების დანარჩენმა მწერლებმა, ამათაც თავისი მოღვაწეობა პოეზიის ასპარეზზე თანამედროვე ცხოვრების ანალიზით დაიწყო. ამგვარმა ანალიზმა ორივე პესიმისტამდე მიიყვანა. მაგრამ სწორეთ აქედან იწყება მათი თავისებურება და განსხვავება ზემოთ აღნიშნულ მწერლებთან შედარებით. მაშინ, როდესაც პირველთაგან უმეტესობა თავის პესიმისტში ისე მოემწყვდა, რომ გამოსავალი გზა ვეღარსით ნახა, დოსტოვესკიმ ასეთი გზა ნახა სლავიანოფილთა მოძღვრებაში და მისტიციზმში, ტოლსტოიმ—სარწმუნოებაში.

მწერლის აღზრდას რომ დიდი გავლენა აქვს მის ნაწერებზე, ამის ერთი საუკეთესო მაგალითი დოსტოვესკია. ბუნებით დოსტოვესკის დაყვა სუსტი და მეტათ მგრძობიარე ნერვები, ამპარტანება და თავმოყვარეობა. თუმცა ღარიბი ოჯახის შვილი იყო, მაგრამ მისი მშობლები მაშინდელ პირობებში განათლებული პირნი იყვნენ და ცნობისმოყვარე ბავშვი ყოველთვის პოულობდა სახლში საკმაო გონებრივ მასალას. დოსტოვესკიმ გაათავა უმაღლესი სასწავლებელი, შევიდა სამსახურში, რომელიც მას კარგ შემოსავალს აძლევდა, მაგრამ ლიტერატურული შრომის სიყვარულმა მას მალე მიატოვებია სამსახური 1844 წელს, და ამ დღიდან სიკვდილამდე დოსტოვესკის კალამი აღარ გაუგდია ხელიდან. დოსტოვესკის ლიტერატურული მოღვაწეობა ერთობ ნაყოფიერია და მრავალმხრივი. ის მარტო ბელეტრისტი არა ყოფილა, მას რამდენჯერმე ჰქონდა საკუთარი გაზეთი, ხშირათ მთელ გაზეთს ის მარტო თავისი საკუთარი ნაწერებით ავსებდა; რომანებთან ერთად ის წერდა კრიტიკულ და პუბლიცისტურ სტატიებს, და თუმცა ამ უკანასკნელ სტატიებში

ხანდახან ცრუ გზას ადგა და სრულებით ჰლალოტობდა მეორმოცე წლების იდეებს, მაგრამ ნიჭი და კრიტიკული ლობა არც ერთ მის სტატიას არა კლებია. 1849 წელს დოსტოვესკი დაიჭირეს; მთელი ოთხი წელიწადი ციხეში ყოფნამ მისი სუსტი ნერვები სრულებით დაასწულეს და მას ნელანელა შეეპარა ის მისტიციზმი, რომელიც ასე ნათლათ არის გატარებული მის საუკეთესო რომანებში. ციხიდან გამოსვლის შემდეგ დოსტოვესკი აღარ იყო იმ თავისი რწმენა-შეხედულებით და მიმართულებით, რაც 1849 წლამდე და ამიტომ საპყრობილე დოსტოვესკის მოღვაწეობას ორ ხანათ ყოფს. 45 წელს დოსტოვესკიმ დაწერა თავისი პირველი რომანი: „Вѣрные люди“. ამ რომანის წაკითხვამ ნეკრასოვი ისეთ აღტაცებაში მოიყვანა, რომ მან ბელინსკის ახარა მეორე გოგოლი დაიბადაო. ბელინსკისაც არა ნაკლებ მოეწონა ეს რომანი და ამ გარემოებამ ახალგაზრდა დოსტოვესკი ბელინსკისა და ნეკრასოვის წრის წევრათ გახადა. ამ წრეში ყოფნამ თავისი კვალი დააჩნია დოსტოვესკის ბელეტრისტულ მოღვაწეობას პირველ ხანაში. თუმცა ეს არ ყოფილა არც მაშინ ევროპიული ცხოვრების გატაცებული თავყანისმცემელი და ბატონყმობის შეუბრალებელი მტერი,—მას მაშინაც კი რაღაც სხვა იზიდავდა, მაგრამ რა იყო ეს სხვა, ჯერ თვითონაც ვერ გამოერკვია. პირველი ხანის ნაწერებში ის ჰუმანიურ იდეებს ქადაგებს და თვალწინ უშლის საზოგადოებას ბატონყმობის სისაძაგლეს. მეორე ხანაში, საპყრობილედან გამოსვლის შემდეგ, დოსტოვესკი უკვე სლავიანოფილია და მისტიკი; ევროპიული ცხოვრების მას აღარაფერი სწამს და კაცობრიობის ხსნას ის ხედავს მართლმადიდებლობის გავრცელებაში და რადგანაც მართლმადიდებელნი რუსები იყვენ, ამიტომ ეს მხსნელნი რუსები უნდა ყოფილიყვენ; ამაში ხედავდა დოსტოვესკი თავისი სამშობლოს მისისიას. აი ამ მეორე ხანას ეკუთვნის დოსტოვესკის საუკეთესო რომანები, რომლებმაც მას სახელი მოუპოვეს მთელ ევროპაში. მისი პოეზიის უმთავრესი სარბიელია ქალაქის ცხოვრების ნაკლებეგანებანი, ის ნათლათ უშლის მკითხველს თვალწინ იმ სიღარიბეს, სიბინძურეს, შიმშილს, ადამიანის დაბეჩავებას და მრავალ სხვა უსამართლობას, რომლებითაც ასე საგსვა თანამედროვე ქალაქების ცხოვრება. მაგრამ დოსტოვესკის უმთავრეს ყურადღებას იმდენათ თვით ცხოვრება არ იზიდავდა, როგორც ადამიანი. ადამიანის სულში ჩახედვა, მისი გრძობების, მისი ემოციების ამოკითხვა. მას უყვარდა ადამიანის ფსიხოლოგიაში ყოველგვარი უბრალო მოძრაობის დაწვრილებითი ანალიზი. დოსტოვესკის უყვარს თავის რომანებში სულით ავთამყოფი, ზნეობრივათ მახინჯი პირების გამოყვანა და მისი ფსიხიატრიული ანალიზი აქ უმაღლეს მწვერვალს აღწევს. ასეთი ანალიზის გულისათვის დოსტოვესკი ისეთ საშუალებებს ხმარობს, როგორისთვისაც არც ერთს მის თანამედროვე ბელეტრისტს არ მიუმართავს რუსეთში; მომქმედ პირებს ის აყენებს მეტათ რთულ და დახლართულ პირობებში, ადენიებს მათ სხვა-და-სხვა საშინელ სისაძაგლეს და ბოროტ მოქმედებას, როგორც მამის მოკვლა და სხვ., ამასთან ყოველივე ამას ისე დაწვრილებით აღწერს, რომ მკითხველი ნამდვილ ტანჯვასა ჰგრძობს ისეთი რომანების კითხვით, როგორც „Преступление и наказание“ და „Братья Карамазовы“. ამ უკანასკნელ რომანებში ფართო აღა-




გი აქვს დათმობილი იმ მისტიციზმს, რომელიც დაეტყო დოსტოევსკის საპრობილედან გამოსვლის შემდეგ. მეორე მოცე წლების ბელეტრისტები ცხოვრებისათვის მებრძოლნი იყვნენ; ასეთივე მებრძოლი იყო დოსტოევსკიც, ხოლო მას სახეში ჰქონდა თანამედროვე, რუსეთის ცხოვრების ის მხარე და ის მკვნი პირობები, რომლებიც სხვებს უყურარდებოთ დაურჩათ. დოსტოევსკი ხან „ზაპანნიკთა“ იდეებით იყო გატაცებული, ხან ფურციეს მომხრე იყო, ბოლოს შევლინების იდეების ზეგავლენით გასლავიანოფილდა და მისი პოლიტიკური და სოციალური იდეების ასეთი ცვალებადობა აშკარათ ამტკიცებს, თუ რამდენათ არ აკმაყოფილებდა მას თანამედროვე რუსეთი, თუ რაზე უთითებდა ის მკითხველს თავის რომანებში; მაგრამ თანამედროვე ცხოვრების ნაკლებდევანებათა ხატვას დოსტოევსკი არ მიუყვანია იმ პესიმიზმამდე, რომელსაც თავი ველარ დააღწიეს მეორე მოცე წლების დანარჩენმა მწერლებმა.

ყველა განხილულ მწერლებში თანამედროვე ცხოვრებას არაფერ არ შეხებია ისე ვრცლათ, მისი ნაკლებდევანებანი არაფერ არ გადმოუშლია ისე სრულათ, როგორც ლ. ტოლსტოის. ტოლსტოის ბელეტრისტული ნაწერები თავიდან ბოლომდე ილუსტრაციაა იმ ფიქრების, რომლებიც სიყმაწვილიდან მოკიდებული მოსვენებას არ აძლევდენ მას; ტოლსტოის ფიქრები კი მთელი კაცობრიობის განიერი ნაწილის ფიქრებია; ის კითხვები, რომელთა გადაწყვეტა შეუჭრებელ და მწვავე გონებრივ მუშაობას იწვევდენ ტოლსტოისში, ყოველი გონიერი ადამიანის ყურადღებას იპყრობენ და მომავალშიაც მიიპყრობენ. ტოლსტოის ბიოგრაფია მთელი ფილოსოფიაა ცხოვრებისა, მისი სულიერი ტანჯვა და შფოთვა მთელი საიდუმლოებაა ადამიანის სიცოცხლისა და მისი მიზნის. დაკვირვება, ყოველისფრის ამოკითხვა, ყოველი მოვლენისა და საგნის დანაშნულების ძიება ტოლსტოისთვის შეადგენდა სიპატარავიდანვე. რატომ? რისთვის? აი ის კითხვები, რომელსაც აღუძრავდა ხოლმე მას გონებაში ყოველგვარი წვრილმანი მოვლენა და შემთხვევა. ერთა სიტყვით, ყოველგან და ყოველისფერში ტოლსტოი პატარაობიდანვე ეძებდა აზრს და მიზანს. გარეშე ცხოვრების ანალიზით, თავის თავის კრიტიკითა და სკეპტიციზმით ტოლსტოი იგივე გამლეთა; მაგრამ გამლეთი ახალგაზრდა მოკვდა და მან ვერ მოასწრო სკეპტიციზმიდან განთავისუფლება, ტოლსტოი კი დღესაც ცოცხალია, თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში მან ბევრი სულიერი ტანჯვა განიცადა და, ბოლოსაც იქნა, ჰპოვა მშფოთარე სულის ნავთსაყუდარი. ტოლსტოი 15 წლისა იყო, როდესაც ის უნივერსიტეტში შევიდა. ჯერ უნივერსიტეტში შესვლამდე მის ბავშვურ აზროვნებაში იბადებოდენ სხვა-და-სხვა ზნეობრივი და ფილოსოფიური კითხვები, რომელთა გადაწყვეტა მას, რასაკვირველია, არ შეეძლო მაშინ. ყველა მისთვის საჭირობოროტო კითხვებზე უნივერსიტეტი მას არაფერს ეუბნებოდა და ამიტომ ტოლსტოიმ უნივერსიტეტს თავი დანება და მალე სამხედრო სამსახურში შევიდა. ამ დროდან იწყება მისი ლიტერატურული მოღვაწეობა. ტოლსტოის ლიტერატურული მოღვაწეობა ორ დიდ ნაწილათ იყოფა: პირველია სახელოვნო, მეორე მორალური. ორივე ნაწილი ერთმანერთ-

თან მჭიდროთ არიან დაკავშირებული; თუმცა მეორე ნაწილში ტოლსტოი უარყოფს ბევრს მას, რასაც ის ქადაგებდა პირველ ნაწილში, მაგრამ მიუხედავად ამისა მეორე ნაწილი მისი ლიტერატურული მოღვაწეობისა პირველი ნაწილის ლოლიკური გაგრძელებაა: როგორც პირველში, ისე მეორეში ტოლსტოის მოუსვენარი და მშფოთარე სული პასუხს ეძებს ერთსა და იმავე კითხვებზე, ხოლო ეს პასუხი ხშირათ სხვა-და-სხვა ამ ორ ნაწილში. ტოლსტოის პირველი ლიტერატურული ნაწარმოები არის: „Дѣтство, отрочество и юность“. ეს ნაწარმოები იგივე ბიოგრაფია არის ტოლსტოისა; არა თუ ამ თხზულებაში, თავის დიდ რომანებშიაც ტოლსტოი ბევრგან ხატავს თავის საკუთარ თავს. ტოლსტოის პირველი ნაწარმოები მითია საყურადღებო, რომ აქ უკვე არსებობენ ის სკეპტიციზმი, ანალიზი და ფილოსოფიური კითხვები, რომლებმაც შემდეგ ტოლსტოის მთელი არსება მოიცვეს. მთელი თავისი სიცოცხლე ტოლსტოი სიმართლეს ეძებდა და ეძებს და ეს ერთათ ერთი მწერალია, რომელიც სიმართლეს იოტის ოდენათაც არ ღალატობს მაშინაც კი, როდესაც თავის საკუთარ თავს, თავის ნაკლებდევანებათ ეხება. პირველ ნაწარმოებშიაც ახალგაზრდა ტოლსტოი თავისი ბუნების უტყუარ სურათს გვაძლევს.

ტოლსტოიმ დაანება სამხედრო სამსახურს თავი, დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა თავის საკუთარ სოფელში, შემდეგ შეირთო ცოლი და ოჯახურმა ცხოვრებამ პატარა ხანს დაამშვიდეს და თითქოს დააკმაყოფილეს ტოლსტოი. გაიარა დაქორწინების შემდეგ 15 წელი. ამ დროს განმავლობაში ტოლსტოიმ დაწერა ორი დიდი რომანი: „Война и миръ“ და „Анна Каренина“. ამ რომანებმა ტოლსტოის უდიდესი მწერლის სახელი მოუბოგეს. აქ ტოლსტოის შეუდარებელის ხელოვნებითა აქვს დახატული მთელი ეპოხა მეცხრამეტე საუკუნის დაწყებიდან მესამოცე წლებამდე; აქ ის ეხება არა თუ მალალ საზოგადოებას, ხალხსაც და ამით მისი რომანები, პირველი მაინც, მთელი ეპოხია არის. ტოლსტოი აქ სრული რეალისტია, მას ყოველისფერი თვით ცხოვრებიდანა აქვს ამოღებული და ამით მისი რომანები საუკეთესო ისტორიას წარმოადგენენ რუსეთის საზოგადოებისას წარსული საუკუნის განმავლობაში სამოცდაათ წლამდე. ტოლსტოის რომანები მით არიან კიდევ საყურადღებონი, რომ ტოლსტოი აქ არკვევს სხვა-და-სხვა ფილოსოფიურ კითხვებს, რაც მანამდე არც ერთ რუსის პოეტსა და ბელეტრისტს არ ეხერხებოდა. აქ ისტორიულ განვითარებას ტოლსტოი აწერს მხოლოთ ხალხს; კერძო პირთა როლი ცხოვრებაში მას სწამს იმდენათ, რამდენათაც ისინი გამომხატველი არიან ხალხის ნებისა და სურვილის. აქვე არკვევს ტოლსტოი სიცოცხლის მიზანს, არკვევს გაფაციცებით, აღელვებით, მაგრამ ვერავითარ გადაჭრილ პასუხს ვერ იძლევა და ეს უკარგავს სულიერ სიმშვიდეს. აქედან წარმოსდგება ის სევდა, რომელიც ნათლათ გამოსკვივს მის რომანებში. ოჯახური ბედნიერებით გატაცებამ გაიარა, ტოლსტოის ქალარა გამოერია, ქალარამ მას თვალწინ წამოაუყენა სიკვდილი მთელი თავისი საშინელებითა და საიდუმლოებით და ის კითხვები, რომლებიც წინეთ მას მხოლოთ მოსვენებას უკარგავდენ, ახლა სასოწარკვეთილებას გვრიან. ტოლსტოი თვითონ მოგვი-



თხრობს: იყო ისეთი წამები, როდესაც თავის მოკვლას ვაპირებდით; ამდენათ იტანჯებოდა ის სულიერათ. ოჯახი, სახელი, დიდება, სიმდიდრე მას არც იზიდავდნენ არც აკმაყოფილებდნენ, ის ეძებდა უკვდავ მიზანს ცხოვრებისას; რა აზრი, რა მიზანი აქვს ადამიანის სიცოცხლეს, ამ კითხვას უტრიალებდა გარშემო მთელი მისი აზროვნება. მეცნიერებამ მას ვერ მისცა ვერავითარი პასუხი და ამიტომ ტოლსტოიმ მეცნიერებაზე სრულებით გული აიყარა; მიმართა ფილოსოფიას, მაგრამ სხვა-და-სხვა ფილოსოფოსების პასუხმა ის არ დააკმაყოფილა. მიმართა თვით ცხოვრებას, იქნება აქ ეპოვო პასუხიო, მაგრამ იმ წრემ, რომელშიაც თვითონა ტრიალებდა, მას ვერავითარი პასუხი ვერ მისცა. მაშინ ტოლსტოიმ მიმართა ხალხს, დარწმუნდა, რომ მას შეგნებულნი ჰქონდა ცხოვრების აზრი და მიზანი და ამიტომ აქ, ხალხში, დაუწყო მანამ მიზანს ძებნა. ტოლსტოიმ დაინახა, რომ ხალხი რწმენით იყო აღჭურვილი და როგორც პასუხს ყოველგვარ კითხვაზე ისე ნუგეშს ყოველგვარი გაჭივრების დროს ხალხი ამ სარწმუნოებაში ჰპოვებდა. აქედან ტოლსტოი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უპირველესათ საქირთა სარწმუნოება, რომელიც აზრს აძლევს ადამიანის სიცოცხლეს. რაკი ქვემარტივი ცხოვრება ტოლსტოიმ ხალხში ჰპოვა, მან სრულებით უარპყო ყოველივე ასეთი ცხოვრების გარეშე, თავისი წინანდელი სახელოვნო მოღვაწეობა, ყალბათ აღიარა და ერთათ ერთ ქვემარტივ ხელოვნებათ აღიარა ხალხური. აქედან მოკიდებულია ის წერს ხალხისათვის ზღაპრებს და პატარა მოთხრობებს, სადაც ყოველთვის რაიმე ზნეობრივი იდეა არის გატარებული. ასეთმა ტენდენციამ ტოლსტოის ხელოვნებას ზარალი მოუტანა. მისი უკანასკნელი დიდი რომანი „Воскресение“ სახელოვნო ღირსებით გაცილებით დაბლა დგას მის წინანდელ რომანებზე; მისი ნებსიუდოვი ცოცხალი ადამიანი კი არ არის, არამედ ტოლსტოის ფანტაზიაა, რომლის ფსიხოლოგიასაც ტოლსტოი ისე ათამაშებს, როგორც თვითონ ნებავს. ტოლსტოის სულიერი ცხოვრების გარდაქმნას ის უკიდურეს ნაროდნიკათ უნდა გაეხადა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა ნამდვილათ: ხალხის იდეალიზაციას ტოლსტოი არ ჩაუტყუებია, რასაც ნათლათ მოწმობს მისი „Власть тьмы“, სადაც მას საუცხოვოთა აქვს დახატული ხალხის ნაკლულეგანებანი.

ჩვენ მიზანს არ შეადგენს ტოლსტოის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მოღვაწეობის დახასიათება, — ჩვენ შევეჩეთ ამას მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ის იხატება მის ბელეტრისტულ ნაწერებში.

ი. გომართელი
(შემდეგი იქნება).

სხვა-დასხვა ამბები.

29 ივლისს, დილის 9 საათ., ცეცხლი გაუჩნდა საბუნჩაში ნავთის «პრომისლებს». რადგანაც სამხრეთიდან ძლიერი ქარი ჰქროდა, ამიტომ ცეცხლი ჩქარა მოედო ახლო-მახლო ადგილებს, ასე რომ დაახლოებით 30 დესეტინამდე ადგილზე სრულიად გადაიწვა «ვიშკები». ამბობენ, რომ სამოცზე მეტი «ვიშკა» გადაიწვა მთელი თავისი მოწყობილებით. დაიწვა აგრეთვე ნავთის ამბრები და რეზერვუარები, საცხოვრებელი სახლები, სხვა-და-სხვა სახელოსნოები და სხ. ტელეფონის ბოძებიც დაიწვა. ყოველივე დაფარული იყო სქელი კვამლით და ძლიერი ალი ახლო არაღის უშვებდა. ცეცხლი დიდხანს გაგრძელდა. იმსხვერპლა თუ არა ამ ცეცხლმა ადამიანი, ჯერ არ იციან. არ იციან აგრეთვე, თუ რა მიზეზით გაჩნდა ცეცხლი.

საშინაო საქმეთა მინისტრმა ცირკულიარით შეატყობინა გუბერნატორებს, რომ ქალაქის საბჭოებს ნება არა აქვთ თავიანთ სხდომებზე სკოლის რეფორმაზე იქნაიონ მსჯელობაო.

გზათა სამინისტრო შესდგომია პროექტის შემუშავებას, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს რკინის გზით მოგზაურობა და გაძლიერდეს მატარებელთა რიცხვი.

ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობა აცხადებს: რადგანაც სამმართველო აპირებს მალე დააკმაყოფილოს ყველა ის პირები, რომელთაც საქონელი დაეწვა და დაზარალდნენ 26 ივლისს ტფილისის სადგურზე მომხდარ ცეცხლისაგან, ამიტომ დაზარალებულთ მალე უნდა წარადგინონ რკინის გზების სამმართველოში (საკომერციო განყოფილებაში) განცხადებანი, თუ რა ზარალი მოუვიდათ; განცხადებებთან ერთათ უნდა წარადგინონ საქონლის მისაღებ ბარათის დუბლიკატი.

გასულ კვირას, 29 ივლისს, მოხდა ღურგალთ ამხანაგობის წევრთა კრება.

კრებამ მოისმინა ნახევარი წლის ანგარიში და შემდეგ შეიდი ახალი წევრის მიღებისა შეუდგა ამხანაგობის მდგომარეობაზე და მომავალ მოქმედებაზე მსჯელობას. კრებამ საქაროთ დაინახა გაიხსნას რომელიმე საკრედიტო დაწესებულებაში 2,000 მან. კრედიტი; დაავალა გამგეობას ყოველი ღონე იხმაროს და თვალსაჩინო ადგილას მალაზია გახსნას ამხანაგობის ნაწარმოებთა გასაყიდათ; მიაქცია ყურადღება შევირდების მდგომარეობას და უსახსრობის გამო ამ ქამათ ოცი მან. გადადო მათთვის წიგნების, რეკულელების და სხვ. სასწავლო ნივთების საყიდლათ. შემდეგ გაარჩია ზოგიერთი უურო მცირე კითხვები და დასასრულ, რადგან გამგეობის წევრებ შორის უთანხმოებას ეჩინა თავი,



საქიროთ მიიჩნია გამგეობის განახლება. არჩეულ იქმნენ ბბ. ქურდიანი (თავმჯდომარეთ), ნაბაჭერიშვილი და მინდიაშვილი. აგრეთვე საქიროთ დაინახეს სარევიზიო კომისიისათვის ორი წევრის მიმატება და აირჩიეს მიკირტუ-მოვი და ოთინაშვილი.

მიაკციეს აგრეთვე ყურადღება დაუძღვრებულ და დაავადყოფებულ წევრთა მდგომარეობას და ამ საგანზე მოხსენებით წარმოდგენა მომავალი მორიგი კრებისთვის მიანდეს ბ. ჩოდრაშვილს, რომელმაც აღძრა ეს კითხვა კრებაზე.

რადგანაც თფილისის სახელოსნოებში დიდ ხანს ამუშავებენ შევირდებს, სახელოდ დილის 7 საათიდან ღამის 10-11 საათამდე, ამიტომ თფილისის პოლიცემისტერმა წინააღმდეგა მისცა ბოქაულებს ხელწერილი ჩამართვან სახელოსნოების პატრონებს, რომ იმათ დღეში 12 საათზე მეტი არ ამუშაონ შევირდები და ქარგლები. („კავკაზი“).

კავკასიის სამასწავლებლო ინსტიტუტში მისაღები ეგზეამენები დაიწყება 25 აგვისტოს.

თფილისის პოლიცემისტერმა გუბერნატორს შეატყობია, რომ გამოფენის მოედანზე საქირო ზომები არ არის მიღებული, თუ ეინიცობაა გამოფენას ცეცხლი გაუჩნდაო. ყველა შენობები ხის მასალიდან არის გაკეთებული და თუ ცეცხლი გაჩნდა, ყველაფერი დაიწვება, სანამ ცეცხლის მქრობელი რაზმი მოვიდოდესო.

ქუთაისის, ერევნის, განჯის და ბაქოს გუბერნიების და აგრეთვე ყარსის ოლქის მცხოვრებთ, რომლებიც მოსახლოებენ არა უშორეს 25 ვერსისა საზღვარიდან, ახლათ გამოქვეყნებული კანონით, შეუძლიათ მიიღონ უუასო ვასაშეები მოწმობები (бесплатный пропускный свидетельств) 14 დღის ვადით ოსმალეთის და სპარსეთის ახლო-მახლო ადგილებში წასასვლელათ. უამმოწმობოთ საზღვარზე გადასვლისთვის და აგრეთვე არა-ნებადართული ადგილას მისვლისთვის, თუც მოწმობითაც, და ვადაზე გადაცილებისთვის დამნაშავენი დაისჯებიან სადამოყნო წესდების 1510 და 1511 მუხლების ძალით.

კავკასიის გამოფენაში მონაწილეობის მისაღებათ ამ უკანასკნელ დღეებში ათასზე მეტი განცხადება შეუტანიათ. განცხადებათა მიღების ვადა 5 აგვისტომდე იყო დანიშნული. ექსპონატებს 20 აგვისტოს შემდეგ აღარ მიიღებენ.

საგუბერნიო სამართველომ გადასცა თფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს თფილისის დაბალ მოქალაქეთა თავის ედიკაროვის საქმე, რომელსაც ბრალდება სხვა-და-სხვა დანაშაულის ჩადენა სამსახურის გამო.

ჩვენ გვწერენ: 31 ივლისს ღამით სოფ. ხრამში გადაიწვა 40 მეტი ღუქანი. უმეტეს ნაწილმა საქონლის გამოტანა ვერ მოასწრო. ზარალი აღემატება 60 ათას მან.

† ფრანჩესკო კრისპი.

გასული თვის 30-ს ნეაპოლში გარდაიცვალა იტალიის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ფრანჩესკო კრისპი. კრისპი დაიბადა 1819 წ. კუნძულ სიცილიაზე. თავდაპირველათ ადვოკატობდა, მაგრამ შემდეგ იგი გაიტაცა

რევოლიუციონურმა მოღვაწეობამ. ეს ის დრო იყო, როცა იტალია დაყოფილი იყო პატარ-პატარა ნაწილებათ, რომლებიც ავსტრიის, ბურბონების და რომის პაპის ლუკმათ იყვნენ გამხდარი. ეს უღელი იტალიელებისთვის იმდენათ აუტანელი შეიქნა, რომ იტალიაში არ მოიპოვებოდა ისეთი კუნძული, სადაც საიდუმლო საზოგადოება არ ყოფილიყოს დაარსებული მტარვალობის და უცხოელ მთავრობათა თავგასულობის მოსასპობლათ. ახალგაზდა კრისპი ჩაერია ამ მოძრაობაში. სხვათა შორის 1848 წ., როცა სიცილიაში რევოლიუტია მოხდა, კრისპი ამ რევოლიუტის პირველი მომქმედი პირი იყო. იგი არჩეულ იქმნა დროებითი მთავრობის წევრათ. ამავე დროს სცემდა რევოლიუტონურ გაზეთს, სადაც ჰქადაგებდა იტალიის გაერთიანებას, დემოკრატიული მართვა-გამგეობის შემოღებას და საერთაშორისო ძმობას. სიცილიის რევოლიუტის დამარცხების შემდეგ კრისპი იძულებული შეიქნა სხვებთან ერთათ სამშობლო დაეტოვებია. საზღვარგარეთ ყოფნის დროს კრისპი ადგენდა სხვა-და-სხვა გეგმას რევოლიუტის მოსახდენათ. ასე რომ როცა სიცილიაში გარიბალდის ექსპედიცია შევიდა და სამაგალითოთ გაიმარჯვა, ეს კრისპის მოხერხებით იყო. ეს იყო 1860 წლის დასაწყისში. რევოლიუტამ გაიმარჯვა. იგი არჩეულ იქმნა პარლამენტის წევრათ. მაშინ მისი პროგრამა თავიდან ბოლომდე რადიკალური იყო, რომელსაც იგი ჰქადაგებდა თავის გაზეთ «Riform»-აში. მაგრამ გარემოება შეიცვალა, როცა კრისპი მთავრობის წევრი გახდა. 1877 წ. მან მიიღო საშანაო საქმეთა მინისტრის პორტფელი. ამის შემდეგ კრისპი გახდა სასტიკი მოწინააღმდეგე ყოველივე იმის, რასაც იგი წინეთ ჰქადაგებდა. როცა კრისპი სამინისტროს მეთაური გახდა (1887 წ.), მას არა ერთხელ უხმარია სასტიკი ზომა დემოკრატიის წინააღმდეგ. მის დასამარცხებლათ იგი არაფერს არ ზოგავდა, თვით კონსტიტუტის შეჩერებაც კი გაბედა (1895 წ.) პარლამენტის სხდომების უდროეოთ შეწყვეტით. კრისპის ერთათ ერთი მიზანი შეიქმნა იტალიის სამეფო დიდ სახელმწიფოთა წრეში ჩარიცხვა, რომ მსოფლიოს საქმეების გადაწყვეტაში მასაც ჰქონებოდა გავლენა. ამ პოლიტიკამ იგი ბისმარკის თითქმის ყურ-მოჭრილ ყმათ გახდა, საიდანაც დაიბადა ეგრეთ წოდებული «სამთა კავშირი» (გერმანია, ავსტრო-უნგრეთი და იტალია); ამავე პოლიტიკამ გამოიწვია იტალიის ომი აბაშეთთან, რომელიც ასე სამარცხვინოთ გათავდა იტალიის ხალხისთვის. საერთოთ უნდა ითქვას, რომ კრისპის პოლიტიკამ გააღატაკა იტალიის ხალხი, ხელი შეუწყო სხვა-და-სხვა ამბოხებათა და ანარხისტულ მოქმედებათა გახშირებას. მთავრობას წინააღმდეგნი გაუჩნდენ ყოველგან. მართალია, კრისპი ძალმომრეობით მოხდენილ არჩევნებში იმარჯვებდა, მაგრამ დაბოლოს ესეც შეუძლებელი შეიქნა და 1897 წ. სრულიად შერცხვენილი და ნდობა დაკარგული იგი სამუდამოთ ეთხოვება პოლიტიკურ მოღვაწეობას. ამიტომ კრისპის ტყუილა არ დაუშასურებია «იტალიის ბოროტი სულის» სახელწოდება.

ამნაირათ კრისპის საზოგადოებრავი მოღვაწეობა იყოფა ორ ხანათ: რამდენათ იგი რადიკალი და პროგრესისტი იყო პირველ ხანაში, იმდენათ იგი რეაქციონერი და რეტროგრადი შეიქმნა უკანასკნელ ხანაში. ასეთათ დროთა-ფითარების ლოლიკა.

შინაური მიმოხილვა.

✓ დღემდის ჩვენ საქირბოროტო კითხვას მრეწველობის კრიზისები შეადგენდნენ. თუმცა ჯერ კიდევ ნაკლებათ ვართ გაქალაქებული, მაგრამ ორი სამრეწველო კუთხის თითქმის შეჩერებას არც ჩვენთვის ჩაუვლია უმნიშვნელოთ. ცხოვრების განვითარებამ სოფელი ამოძრავა, ის ძველებურათ ვერ იკმაყოფილებს მოთხოვნილებას თავისი ნაწარმოებით, ფულის საქირება აიძულებს ქალაქში გაიტანოს როგორც ნაწარმოები, ისე შრომაც და ამან საკმაოთ დაუკავშირა სოფელი ქალაქს. არა ერთი და ორი ჩვენი ერის შვალი ცხოვრობს დღეს მარტო თავის მარჯვენის იმედით და ამათ დააწვა მთელი თავისი სიმძიმით კრიზისი. ბევრია ამ მიზეზით უსაქმო, სამუშაოს მოკლებული, რომელიც ულუქმაპურათ დარჩენილა. მართალია, ჩვენებური მუშები ერთი წილი ჯერ კიდევ არ არის მთლათ მოწყვეტილი სოფელს, იქ ცოტა რამ კიდევ აბადია, ბინა მაინც ეგულება, და ეს უმსუბუქებს წარმოების შეჩერების შედეგების გადატანას. მაგრამ, სამწუხაროთ, სოფელიც არ არის კარგ დღეში. იქაც კრიზისია, ხოლო კრიზისი სხვა გვარი. თუ მრეწველობაში კრიზისი გამოიწვია გადამეტებულმა წარმოებამ, სოფელში ნაწარმოების ნაკლებობას იწვევს მოუსავლობა. ასეთი დღე მოელის ქიზიუს, როგორც ჩვენი და სხვა გაზეთების კორესპონდენტები იტყობინებიან, და ეს მოუსავლობა შესაძლებელია შიმშილათ გადაიქცეს. ბევრი სხვა კუთხეებიც დაზარალდა ზოგი სეტყვისაგან, ზოგი ნამეტანი წვიმებისაგან და ზოგიც უწვიმოზა-გოლვისაგან, მაგრამ ქიზიუსი გაჭირვება ყველაზე მეტი იქნება. გაჭირვება და მოუსავლობა ჩვენი სოფლისათვის ახალი ხილი არ არის და ჩვენი ხალხის სასიქადულოთ უნდა ვთქვათ, რომ ის ყოველთვის ისევ თვითონ გამოსულა გაჭირვებიდან. სასურველია ამ შემთხვევაშიც ასე იქნეს და განმტკიცდეს ჩვენს ერში თავის თავის იმედი, არ შეეჩვიოს იგი ისეთ მათხოვრობას, რომელსაც ჩვენი „საზოგადოება“ იმ ზომამდე შეჩვევია, რომ ყოველთვის ხელგაწვდილია: მოწყობა მოიღეთო.

რასაკვირველია, თუ მოუსავლობა შიმშილათ იქცა, მაშინ ქიზიუი ვერ შეძლებს საკუთარი ძალღონით განსაცდელის გადატანას და ჩვენგან დახმარებას მოითხოვს, ხოლო ეს დახმარება ცოტათი მაინც უნდა აღემატოს ბ. ჯორჯაძის*) თვითმოქმედებას, რომელიც მარტო „დასაბუთებულ ქალღმერთებს წერაში, ბ. გულაძისაგან ნამდვილი სურათის წარმოდგენაში და გაზეთით დახმარებაში“ მდგომარეობს. ნურც „დაუმტკიცებელა (sic!) კანონის ძალა“ შეგვაშინებს.

* *

გასულმა კვირამ დიდ განსაცდელსა და საგონებელში ჩაადგო ჩვენი ქალაქი. მას ეწვია რუსეთის „წითელი მამალი“, და ერთ კვირაში სამჯერ გაჩნდა ცეცხლი. დაიწვა რკინის გზის საწყობები, დაიწვა მიხეილის ქუჩაზე (შუაგულ ქალაქში) ანანოვის ხეტყის საწყობი და შემდეგ კიდევ ფურცელაძის სახლი. ყველა ეს ჩვენმა მკითხველებმა იციან. ვიცით ისიც, რომ ცეცხლი უბედური შემთხვევის შედეგია და მისი თავიდან აცილება შეუძლებელია, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ამ სტიქიონს

*) იხილეთ „ცნ. ფურც.“ მეთაური წერილი № 1538.

სხვა კეთილგანწყობილი ქალაქები უფრო მოხერხებულად უმკლავდებიან, უფრო მეტს ღონისძიებას ხმარობენ წინდაწინვე, რომ ერთის უბედურება მთელ ქალაქს არ მოედვას. ჩვენი ქალაქი კი აქაც ისეთივე დაუდევარი გამოჩნდა, როგორც სხვაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ანანოვის საწყობის ცეცხლს არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ. ტყის მასალა ერთ-ერთ საუკეთესო ცეცხლის მიმღებ ნივთიერებათ ითვლება, ეს ყველამ ვიცით. დამზღვევი საზოგადოებებიც დიდ რისკს ხედავენ ამ მასალის მიღებაში და დიდ პრემიას იღებენ. ხოლო ეს არა აქვს შეგნებული ჩვენ ქალაქს და ის შუაგულ ქალაქში ხის საწყობებს მართავს და მით დიდ საფრთხეში აგდებს მთელი ქალაქის მცხოვრებლებს.

დროა ამას დაუკვირდეს ქალაქის გამგეობა. არა თუ ისეთ ადგილებში, როგორც მიხეილის ქუჩაა, თვით ნაპირის ქუჩაზე, რომელიც ტყის საწყობებით არის დაფენილი, არაა ადგილი ამ საწყობებისათვის; მათი აქ დატოვება საშიშარია და ყოველი ღონე უნდა იხმაროს გამგეობამ, ქალაქის განაპირას გადაატანოს იგინი. ბედნიერმა შემთხვევამ იხსნა ქალაქი გასაქირისაგან, თორემ ერთ ნიავს რომ დაებერა, ბევრ შენობებს იმსხვერპლებდა ულმობელი სტიქიონი, ბევრს დატოვებდა უბინაოთ და მაშინ მხოლოთ „დასაბუთებულ ქალღმერთებს“ თვითმოქმედება იქნებოდა მათი იმედი.

ქალაქი ვალდებულია წინდაწინვე იზრუნოს მცხოვრებთა ასეთი ხიფათისაგან უზრუნველ ყოფაზე.

* *

მოაწია გამოფენის გახსნის დრომაც და ჩვენი გაზეთები ცდილობენ წინდაწინვე გაითვალისწინონ მისი შედეგი: რას გვაჩვენებს და რა უნდა ეჩვენებია. კერძოთ ქართველების შესახებ, როგორც ამბობენ, დიდ ვერაფერს გვაჩვენებს. ეტყობა ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ ქართველებს გამოფენების მნიშვნელობა, ან გამოსაფენი არაფერი ჰქონიათ და მგონი „ჩვენი“ საიუბილეო გამოფენიდანაც ისე შერცხვენილი დავბრუნდებით, როგორც პარიზის მსოფლიო გამოფენიდან. სამწუხაროა, თუ ასე მოხდა, ნამეტურ ბურჟუაზიის იდეოლოგიებისთვის, რომელნიც უკვე შეუდგენ ამ საგანზე გოდებას. მართლაც, გამოფენა ყველგან ბურჟუაზიის დღესასწაულია, მისი ძლევამოსილების მაჩვენებელი და რაღაა იგი ბურჟუაზია, რომელსაც ორი პავილიონი ძლივს აუგია! თუმცა ეს ასეა, მაგრამ გამოფენის დედააზრი მაინც უტყუარი რჩება და ერთ-ერთ ჩვენთვის სინამდვილით აღნიშნავს ის, როგორც სამართლიანათ შენიშნა ერთმა ქართულმა გაზეთმა. ეს არის ჩვენი დაუდევრობა, რომელიც ყველგან იჩენს თავს და გამოფენაზეც აპირებს პირველ ადგილას გამოქიმვას.

* *

ალბათ ამავე დაუდევრობის მიზეზია, რომ ექიმების გასტროლოგებისაგან ვერ ვიხსენით თავი. გვეშინია კიდევ, მკითხველმა არ დაგვწამოს ექიმებისადმი შური და მტრობა, მაგრამ ერთხელ კიდევ უნდა შევაჩეროთ მისი ყურადღება ამ თავისუფალი პროფესიის წევრებზე.

„ივერის“ კორესპონდენტი (იხ. № 166) იწერება სვანეთიდან: „სვანეთს საკუთარი ექიმი ჰყავს, მაგრამ ის მარტო სხსიულს ატარებს სხსიუთასს, ნამდვილათ კი ქუთათურების ექიმი და ქუთათურ პაციენტებისაგან მსუქან



ლუკმას დაჩვეულს სვანეთის გაჭირვება და ტკივილი ისევე აწუხებს, როგორც ჩინეთის ბოგდინანის მუცლის გვრემალა. მხოლოდ ივლისის პაპანაქება მოაგონებს ამ ექიმს სვანეთს და მაშინ მოეშურება აქეთკენა“, ე. ი. მაშინ, როცა მას სჭირია გრილი საავარაკო ადგილი და არა როცა იგი სვანეთისთვის არის საჭირო. ეს ექიმი გახლავთ ბ. ტერტეროვი, რომელიც სვანეთის ნაცვლათ თოფურის საავადმყოფოს დატრიალებს წელიწადში თერთმეტი თვე. მე სრულებით არ მიკვირს, რომ ბ. ტერტეროვი ქუთაისიდან ფენს არ იცვლის: რასაკვირველია, მიყრუებულ სვანეთს ქუთაისი ჯობს, ნამეტურ როცა სვანეთის მკურნალობისთვის გვარიანი ჯამაგირიც ეძლევა, თუმცა ცოტა არ იყოს საინტერესოა კი, რა ზნებობრივი მოსაზრებით იღებს ჯამაგირს და გასამრჯელოს იმისთანა საქმისთვის, რომლისთვისაც არაფერს არ აკეთებს, რასა გრძნობს ამ დროს მისი შუბლის კანი? ნუ თუ ერთხელ მაინც არ დაკითხვია თავს ჩვენი ესკულაპი, რისთვის იღებს ფულს?

გვრავინ იტყვის, სვანეთი ექიმს არ საჭიროებდეს; სამართლიანათ შენიშნავს „ივერიის“ კორესპონდენტი, რომ სვანეთის ტოპოგრაფიული და ეტნოგრაფიული პირობები ყველა სხვა კუთხეზე მეტათ თხოულობენ სამკურნალო დახმარებას. ეს კუთხე განთქმულია, გარდა ჩვეულებრივისა, განსაკუთრებული სნეულებებით, როგორც მაგალითათ ჩიყვი, კრეტინიზმი და სხვ. სვანეთის ექიმი კი ქუთაისში წამოქიმულა! მეტი რომ არა ვთქვათ, ახირებულა ასეთი წესი!..

მართალია, ძალიან გულგატეხილი ვართ ექიმებზე უკანასკნელი ცნობებით, მაგრამ არა გვგონია ჩვენ ახალგაზდა ექიმებში არ მოინახოს ისეთი, რომელსაც სურვილიც აქვს და ცოდნაც დაეხმაროს ჩვენი ქვეყნის ერთ უძნელეს კუთხეს. და თუ ასეთი არ მოინახება, მაშინ ადგილობრივ მთავრობას ერთი საშუალება კიდევ რჩება: მას ჰყავს სტიპენდიატი ექიმები, რომელნიც მოვალენი არიან განსაზღვრული დრო იმსახურონ ნაჩვენებ ადგილზე. აი ამათით უნდა ისარგებლონ. მართალია ყველა საექიმო პუნქტებზე უფრო მძიმე სვანეთში სამსახური იქნება, მაგრამ შეიძლება იქაური ერთი წელი ორათ ჩაეთვალოს ექიმებს ან სხვა რამე, ხოლო სამსახური კი ნამდვილი იყოს და არა ფიქტიური, როგორც ღღესაა. საჭიროა ბოლო მოვდოს ასეთ ანორმალურ მდგომარეობას.

კორესპონდენტები.

ალექსანდროპოლი. საჭიროთ მიმხნდა, ცოტა რამ მაინც მეთქვა ერეკლის რეირის გზას ბუნების, ჭაქრის და აქაურ მცხოვრებთ ზნე-ჩვეულების შესახებ, მაგრამ ამასე შემდეგ და ესლა გაკვირით შეგვესთამ ამ ადგილს, საიდგანაც იწყება სხენებუღი გზა, ე. ი. ქალაქ ალექსანდროპოლის. ჭაქრა წყალი, და რომელიც უმთავრესა საშუალებაა ადამიანის საცხოვრებლათ, საუცხოვრავ ალექსანდროპოლში, მაგრამ ამას მოსმარება უნდა; და ამით სწორეთ ვერ იამაუებს ჩვენს ქალაქი. ქაჩებში მტკერი და სიზინიერება, მაგრამ პატრონი ვინ არის!... ამას წინეთ აქ ერეკლის გუბერნატორი გვეწვია, ქალაქის მმართველბა, ვგონებ, ამ დღეს ათჯერ მოაწვევინა ქუჩები და სასამონოროც იყო აქ გაუღა-გამოღლა დასაჩინ დროს კი დამკრთმა გაშორეთ აქ სიარული. მთელ ქალაქში სულ 50—60 ხენიან გვემარებ

აშენებელი სახლი თუ მოიძებნება, დასაჩინები კი მინგრეულ-მოძგრეული და უხეირო სასლებია, ზოგის სათოულსე თივის ზვიინა გამოტომული და ზოგისაწივ რა. შორიდგან რომ შესელოთ ამ ქალაქს, იგი ცუცხლისგან გადამწვარ-გადხეუღული ადგილა გვეგონებათ... ესოებში აქ მერათ შეხვდებით რამე სეს. სამაგეროთ აქაურ ბაღებში (თუმცა მათი რადხვიც ცოტაა, სულ სამოადე ბაღა აქ) უოველგვარი მცენარეობა მოიპოვება.

დასასრულ რაოდე სიტყვის თქვა მინდოდა აქაურ ქართველ საზოგადოებასე, მაგრამ განა დიქს ვერომ ამას საზოგადოების სასული ვუწოდოთ. ამიტომ ვერ-ვერობით უმჯობესაა ისევე გახეუდეთ ამის შესახებ. *კ. ჩიქინაძე* ცოცხი.

წინამხარი (ქიზიუი). დღეს ქიზიუი საგლოვიარო სე-რათს წარმოაგენს. ვისაც აქამდის ათი-სუთმეტი ურემი ჰური მოსდიოდა და მაინც იმას ოჯახის შიმშილს ვერ უკმაყოფილებდა, წელს ათი-სუთმეტი კოდიც არ დადგომათ. ახლა იკითხვათ რა დღეში უნდა იყვენ ისინი, ვინც მეზობლებში დღეღაურა მეზობით ცხოვრებდენ, ვენახების იმედი ჰქონდათ, მაგრამ ეს ორი თვე სრულდება ცახ წვეთი არ გავარდნა და ურემია ერთიანთ გასმა. საჯალალო ისაა, რომ ზოგერთმა ვალით შეწამლა და დღეს ისიც ვალათ რჩებათ, რადგანაც იმდენი გამოსავალი არ ექნება, რომ წამლის ფასა მაინც დაფაროს. ამას ზედ დაერთო ბავშვების საშინელი ავათმეოფობა სველა, სიცხე ფარდათობით. არ დაითვლება იმდენი ბავშვები მოჭკავთ როგორც სასოფლო ქსენონებში, ისე სიღნაღში; მაგრამ, სამწუხაროთ, უნდა შევნიშნოთ, რომ ექიმებს აქაც გვიან ადგომას ცოდნათ, და ეს გარემოება სწორეთ ძლიერ აბრკოლებს საქმეს. ამ თას ვაჰამს ზედ დაერთო დამის რანდებისგან შინაური საქონლის მოხარკვა განსაკუთრებით კი ცხენების, რაც მეტათ გაშინდა ამ უგანსვენელ სახებში, და რაზედაც საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ვერ-არს. იროდიონ ოქრუაშვილი.

პიატიგორსკი. (ლერმონტოვის ძეგლის ვერთხევა). 15 ივლისს აქ ავერთხეს ლერმონტოვის ძეგლი იმ ადგილას, სადაც სასელოვანი 27 წლის მგოსანი მოკლედი იქნა დუელში 60 წლის წინეთ. ბუნების მოყვარეს, დიდებულ ლერმონტოვის სასიკუდილოთაც ისეთი ადგილი ამოუჩვენია, რომლის მომდევალც სიცოცხლეში იყო. პიატიგორსკიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ რომ წასვალ და მთის «მაშუკის» მტარე აღმართს შეუდგები, ასვალ ერთ პატარა სერესე, საიდანაც საუცხოო სახანაობა გიტაცებს აღმოსავლეთისაკენ—თვალ უწვდენელი ვაკე, ალგ-ალგ ტუით და უფრო სშირათ სითაბებით შემეული, რომლებშიდაც აქ-იქ ფართო ტბები გებერ-თელა საჩვეებსავით ელავენ მხის სხივებსე; სამსრუთით—დაბალი განაური მთა «მაშუკი» ტუით ვალთუბ წაფარული და თვე-მაშუკელი, შორს დაიდი ვაკეასიონის მთების დაგბილებული თეთრი ზურგი—თავისი ორი გუზით, იაღბუზის მითით; დასავლეთით სოფლებით და სახნავ-სათიბებით გადაჭრელებული ზღვასავით თვალში უწვდენელა ვაკე და ჩრდილოეთით უხარ-მაზარი გლდეებით და ბუნქნარით დაფარული მუდამ ძეგლოვარე ბეშტაუ.

აი რას წარმოადგენს და რა ისელება იმ ადგილიდან, სადაც ლერმონტოვი სამუდამოთ გამოესაღმა ქვეყნიერებას. ლერმონტოვის ძეგლი ბეშტაუსა და მაშუკის შუა დგას,

პატივითსავე უნდა შეუქცევია; და სწორეთ ეს არის ერთად ერთი ღირსება ამ ძეგლის, რომ პატივითსავე უნდა მიუქცევია, ამ პატივითსავე უნდა, რომელიც ასეთი სამარცხვინო პატივისცემა გაუწია რუსეთის ერთს საუკეთესო მკვლევარს, როგორც 60 წლის წინეთ, ისე ესლა ამდარათ მისი სახელის მოხსენებით.

კვლევებისაში პანაშვიდი გადაისახდეს და ერთმა მღვდელმა სიტყვა წარმოსთქვა. სამ საათზე პატივითსავე უნდა მიუქცევია. მღვდელს განს შემოერთებენ აუარებელი სალდათები და იმ პოლკის უფროსმა, რომელმაც ლერმონტოვი მისაუბრებდა, ასე მიმართა სალდათებს: «სალდათებო! იცით თქვენ, ვინ იყო ლერმონტოვი? ლერმონტოვი იყო მამა და თავგანწირული სალდათი. ის აქ იმიტომ იყო, რომ მკვლელების დონე მოკვამისაში მღვდლებს და განათლებას შეეტანა. ლერმონტოვი «სიმღერებს» თხზავდა და აქებდა ჩვენი პოლკის გმირობას ჩვენთან ომებში. აი ვინ იყო ლერმონტოვი, ჩვენი პოლკის სასახელა შეიღია».

შეიძლება იკითხოთ, გერმანებზე რომ აუარებელი ვიბე-გასქელებული სალდათი მადის, იმათ რა ქნეს, სუ თუ მხელი იყო მათთვის თავის ქონებდის მცირედი წვლილის გამოღება და სალდათის თვის იაფ ფასიანი ლერმონტოვის თხზულებების და მისი ბიოგრაფიის გამოცემა, ან ლერმონტოვის სასახელა სკოლის დაარსება?

პ. გ.

ბ. ბახვი (გურია). ბასიის აკადემიისთვის კარგა ხანია ჩვენ გასუბებში არა თქმულა-რა. ამიტომ მე მსურს დავარღვიო ეს მუხდროება. ამას წინეთ ბ. გ. ჭელიძემ გამოთქვა ის აზრი, რომ წვრილმან მოკვლევით და ჩარჩ-ბარცებთან საბრძოლველი საშუალება მხმარებულთა საზოგადოების და სავაჭრო სასლის დაარსებაში მდგომარეობსო. სალდათი პირველ ხანათ როგორც კვების თვალთ უფურება ამ სასახელთა საქმეს, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, დაინიშნა კრება და ამ საქმის მოსათავადრიგებლათ გომისიაც შესდგა. მაგრამ წარმოადგინეთ აქაური ჩარჩ-ვაჭრების გაწამაწია და სრიალები. ესენი აქეთ ეტან, იქით ეტან, როგორც იყო ერთი აქაური «ინტელიგენტი» გამოძებნეს და კრების წინაშე წარმოგზავნეს. რა? რაო და ის, რომ აქაურმა ვაჭრებმა დამავალეს მათი აზრი გამოცემთო: მხათ ვართ ფასი დაუკლოთ ყოველგვარ საქონელს, დაგვიდევიო ტაქსა და ისე ვივაჭრებთო, ოღონდ დაესახინთ საზოგადო ღუქნის გასახსნა! მოგზავნილმა ამას «თავისი საკუთარი აზრიც» დასძინა: ესლა მიზანს მისწეული ვართ და ეს ჩვენი მოქმედებაც ამით დაკომპრომითო! როგორ მოვწონთ, ბატონებო, ამ ქველმოქმედი «ინტელიგენტის» საქციელი? რამ აიძულა ეს ვაჭრებთან საზოგადოების წინაშე «თავისი საკუთარი აზრიც» წამოეჭიმა, რომლითაც ამ ფრთხილ სასარგებლო საქმეს ძირს უთხრიდა? სსვამ არაუერმა ვარდა იმისა, რომ მასაც იმ ტიპის სავაჭრო ღუქნი ქონებია ქ. ოზურგეთში, რა ტიპის სავაჭროსაც საზოგადოება ცდილობს გასახსნა და ამით მას, რასაკვირველია, მუშტარი დაკვარვის. კრებამ ამ ცრუ-მოღვაწეს შესაფერი პასუხი გასცა და მისი უმნიშვნელო «საკუთარი აზრიც» ახესალათით გადაფეჭვეული დაუბრუნა, და თავისი საქმე განაგრძო, რომელიც, თუ ამავე მოღვაწეებმა არ შეაფერსეს, იქვია მოკლე დროში სასურველთაც დამთავრდება.

ჩიხუნი.

ირაკლი (ციმბირი). როგორც წინათ ვუთხარი, ირაკლი კუტისკის სიმდიდრით პირველი ადგილი უჭირავს მთელ რუსეთის იმპერიაში, მაგრამ ქალაქის სიმდიდრე, რასაკვირველია, ეყვალა მცხოვრების მდიდრულ ცხოვრებას არ ამტკიცებს. მდიდრებს აქაურ მცხოვრებლებში მარტო მცირედი ნაწილი შეადგენს, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ არც ერთ სსვა ქალაქების მდიდარ მცხოვრებთ არ გამოუჩინათ ისეთი ქველმოქმედება, როგორც ირაკლიის შემდგომ პირთ. მოვიყვან მაგალითებს: 1) ქმდევენიკოვის ფულით გასახილდა ობლებისთვის ბანკი, სასწავლებელი და სასლი. 2) ტრანკენიკოვის სარკით ინახება ერთი სასახლო სასწავლებელი (горно-промышл. училище) და სამასწავლებლო სემინარია; 3) ნემინიკოვი, რომლის სარკით არსებობს ღარიბთათვის თავშესაფარი. 4) კუხნეცოვი, რომლის სასახელა საკავშირეო ფასი გასახილდა და კიდევ სსვა.

ესლა გადავალ ქალაქის ღარიბ მცხოვრებლებზე. ე. ი. სელოსებზე და უბრალო მუშებზე. დურგალი, მღაარი თუ სსვა სელოსანი დღეში იღებს 2—3 მანეთამდე; უბრალო მუშები კი 1—1 მ. 50 კ., მაგრამ არც პირველთ და არც მეორეთ გროში არ რჩებათ. ამის მიზეზია, უწინარეს ყოველისა, ღლიობა, რასაც დღიურათ იშოვნინ იმ დღესვე საბიკიტრობში გააქრობენ და სალამოთი კი ქუხებში ყრინ. სწავლა-განათლებას ნაკლებათ მისდევენ და ზნე-სახაათითაც შედარებით ევროპის რუსებზე გამოვლით დაბლა დგანან. ვარკუე ტომის სალს მათთან აზვითარი კავშირი არ შეუძლია იქონიოს. აქ ქართულსაც, სომეხსაც, თათარსაც, ლეკსაც, ჩერქესსაც და კავკასიის სსვა ტომის სალს სულ ეყვალს ჩერქესებს უწოდებენ, თითქმის ზიზლით უფურებენ და არა თუ ეს მარტო დაბალ სალსშია შემოდებული, არამედ ხშირათ ევრეთ წოდებულ ინტელიგენტებშიაც კი. შეიღების სწავლა-განათლებაზე უფრო ზრუნავენ შედებულთა მშობლები, ე. ი. ვაჭრები, მაგრამ, სამწუხაროთ, შეიღები ვერ ამართლებენ მშობლების ზრუნვას.

აქ ეყვალს უფრო საინტერესოთ ჩათვლება რეინის გზის გაყვანა ციმბირში. მუშა სალს და უმეტესათ გამოგზავნილთ დიდი სიკეთე მოუტანა ამ გზის გაყვანამ. უმაღლესი მანიფესტით (1896 წ.) გამოცხადდა, რომ ციმბირის რეინის გზაზე მუშაობა ერთი ორათ ჩათვლებოდა. ამ კანონებმა მიიზიდა და გამოგზავნილი სალსი მარტო იმიტომ კი არა, რომ გამოგზავნის დრო უმოკლდებოდა, არამედ იმიტომაც, რომ სასახელა სელოსი კარგი იყო.

ირ. ალ. გოგოლაძე.

რუსეთის ცხოვრება.

გზათა სამინისტროს ხშირათ მოდის საჩივარი რეინის გზის მუშაობისაგან მოიჯარაებზე, რომელნიც დროზე არ უსწორებენ ანგარიშს მუშებს და ეს ვარკუება დიდ ვაჭარებაში ავდებს უგანასწეულთ. ასლა სამინისტროს გაჩაკრულება მოუხდენია, რომ რეინის გზის უფროსებმა და ცალკე ნაწილების გამკვებმა მიიღონ ზომები, რომ მოიჯარეი დაუფურებელი თავთავის დროს კავსწორდენ მუშებს.

წელს პეტრობურგის უმაღლეს სასწავლებლებში დიდძალი თხონები შეუტანათ წინანდელ წლებთან შედარებით, მაგალ., მარტო ტენსლოგიურ ინსტიტუტში მიუღიათ 1000-ზე მეტი თხონა. კვლავებდან თხონებს სრულებით არ ღებულდებენ. საინჟინერო ინსტიტუტშიაც ამოღენი თხონები შეუტანათ, და ასე წარმოადგინეთ, სასახელა ინსტიტუტშიც კი 500-ზე მეტი თხონა შეუტანათ.



ასევე კივემაც: ადგილობრივ პოლიტესნიკურ ინსტიტუტში 1000-მდე თსოგნა შეუტანიათ (გარდა იმ 100 ჰიბრთა, რომელნიც უგონგურსათ იქნებიან მიღებული), ვაგანსია გი მსოფოთ 330.

== უკვე გამოიჩინა, რომ რუსეთს წელს დიდი მოუსავლობა ეწვია. ზოგაერთ გუბერნიების უბოგბო უკვე შეუდგენ მოსალოდნელი სიმშილის წინააღმდეგ ზომების მიღებას. ზურის ფასმა უკვე შესამჩნევათ აიწია. მოუსავლობამ გამოიწვია ატრეოთვე მრავალი მუშა სელის უსაქმობა.

== ნიჟინოვგოროდში 26 იულისს დამით ნასეს თავისს სენაგში დამსრჩვალ ბლავგოვეშენსკის მონასტრის აზნიმანდრიტი აჩვადი. ბოროტმომქედებს წაუღიათ ათასი მანეთი, რომელიც მონასტრის და მოკლეუ წინამძღვარს გუგოთნოდ. ფიქრობენ მკვლელობა ასლო მდგომ ჰირის ჩადენილი უნდა იყოსო, რომელიც კარგათ იცნობდა აზნიმანდრიტ აჩვადის ცხოვრებას და მის სენავს.

== «ს.პეტ. ვესტ.» მოყავს ტომისკის გუბერნატორის შემდეგი განცხადება. «მდგომარე წლის აზრილის დამლეკს და მისში ადგილი ჭქონდათ მუშათა აჩუელობას ბალიკრინის და ლებედის რქროს მანებში. აჩუელობა გამოისატა იმში, რომ მუშები არ გამოდიოდენ სამუშაოთ, მთელი ჯგუფები გარბოდენ, გაიფიცენ და სსკ. ინოკენტიევის მანებზე გი საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდინაც მივიდა. ამ აჩუელობათა მეთაურნი უკვე დაკავებული არიან და, როგორც უმთავრესი მონაწილენიც, სასტიკათ იქნებიან დასჯილნი, თანასმით კანონისა. მომავალში ასეთ აჩუელობათა ასაცილებლათ საჭიროთ მიმანხნა წინდაწინ გავაფრთხილო მუშები, არ დაენდონ და არ აუკენ ბოროტგამზრახველთ, უცილობლათ დაემოწილონ მარტობლობის მოთხოვნილებას და, ვაცხადებ, რომ უოველი დარღვევა აჩუებული წესისა მამინვე ჩაქრობილ იქნება და დამნაშაქები სასტიკათ დაისჯებან. უოველი მუშა, რომელიც შენიშნული იქნება, რომ იგი აქესებს სხვებს მუშაობისაგან გაქცევას, ან მალას დაატას თავის ამსახავებს სამუშაოზე სელის ასალებათ, ან დაემუქება იმათ, რომელნიც სამუშაოზე გამოვლენ, დაკავებულ იქნება და შემდეგ გადასახლებული პოლიციის მხედველობის ქვეშ ერთერთ მორეულ გუბერნიასში».

(„Петербург. Вѣд.“).

== ამ უკანასკელ სანებში რუსეთის გასეთებმა მოუსშირეს ღმარავა ნოქრების გაჭირვებულ მდგომარეობაზე. ეს ნიშნავს იმას, რომ ნოქრების მდგომარეობა მეტათ გამწვავებულა და იგი საჭიროებს გაუმჯობესებას. ზოგაერთ ქალაქებში ნოქრების მდგომარეობა წინ გი არა უკან მიდის. აი, მაგალ., ოდესში: ოდესის გასეთის სიტყვით, ადგილობრივ ერთ დიდ მადანში დიდი სანი არ არის რომ მოსამსახურეზე სარჯავდა 15—17 ათას მანეთს წლიურათ; ასლა გი ამის მაგიერთ სარჯავს სულ 7—8 ათას მანეთსო. ჯერ-ჯერობით ვერც საერთო დამხმარებელ საზოგადოების დაარსებამ უშეკლავ ნოქრებს. ზოგაერთ ქალაქებში მსსვილ მოვარჯრებმა შექმნეს სინდიკატი და გადაწვიტეს, რომ არ მიიღონ ის ნოქარი, რომელიც რაიმე მიწისის გამო ითხოვენ რომელიმე მადანიდან. სამუშაო დღე მადანებში გრძელდება 15—17 საათამდის და ზოგჯერ 20 საათამდეც. კვირა-უქმე მათთვის არ არსებობს. კიდევ უარეს პირობებშია ბავშვებიც, რომელთაც სრულებით არ შეუძლიანთ სმის ამოღება. ასეთი შრომისთვის ნოქრები სულ მცირე სასუიდეუს ღებულბენ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მას უკრადლება მიექცევი.

ს ა ს ღ ვ ა რ ო გ ა რ ე თ .

ინგლისი. ამ დღებში ინგლისის ჰარლამენტს უნდა გაესსნა მოთვრობისთვის 6 1/2 მილ. გირ. სტერლინგის ვრედიტი, რომელიც ტრანსკავლის და ორანჟის რესპუბლიკების სამოქალაქო მმართველობის მოწყობას უნდა მოსმარდეს. ჩემბერლენმა გამოაცხადა, რომ ამ ჯამში ის სარჯიც შედის, რომელიც მართველობას მოუვა ომის დროს ინგლისელთა და ბურთა ნახარალებების ასახარაღებლათ, რომელნიც მოისურვებენ ძველ ადგილებზე დაბრუნებას.

